



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი



ბრძანება:ბ64. 64230102

თარიღი:10/01/2023

ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 09 იანვრის N64.64230093 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მოსახლეობასთან შეხვედრის გრაფიკის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ს 54- ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების; „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულების და „ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ მუნიციპალიტეტის 2023 წლის 09 იანვრის N64.64230093 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 09 იანვრის N64.64230093 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მოსახლეობასთან შეხვედრის გრაფიკი წარმოდგენილი დანართის N1 შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია ძმების ნინუების ქ. N1).

ალექსანდრე გოგორიშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

